სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 მარტი 2026

N 139/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე მშენებარე შპს „ნახიდური ჰესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნახიდური ჰესი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 25 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულია „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „ნახიდური ჰესის“ მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-758 ბრძანება.

მითითებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) გათვალისწინებულ საქმიანობაში, სხვადასხვა დროს, არაერთი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განხორციელდა და 2021 წლის 22 ივლისს, 2023 წლის 30 მარტს, 2024 წლის 20 მაისს და 2025 წლის 9 ივნისს სააგენტოს მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება: №2-1125, №142/ს, 255/ს, 286/ს), რომელთა საფუძველზეც აღნიშნული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გზშ-ს არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნახიდური ჰესი“ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდინარე ხრამზე ახორციელებს 7,2 მგვტ სიმძლავრის „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს, რომლის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა და გამყვანი არხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ნახიდური ჰესი“ კვლავ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რომლის ფარგლებშიც ჰესის პროექტში გათვალისწინებულია: სათავე ნაგებობის საყრდენი კედლის დაგრძელება;

კაშხლამდე მისასვლელი გზის დაზუსტება; 461 მეტრ ნიშნულზე შეტბორვის კონტურის სარკის ზედაპირის ფართობის 2069.9 მ^2-ით გაზრდა; სადაწნეო მილსადენის დერეფნის დაზუსტება; ჰესის შენობის, გამყვანი არხის, ასევე დამცავი კედლის ადგილმდებარეობის დაზუსტება და დამატებით საავარიო წყლის გადამღვრელი სისტემას მოწყობა.

სკრინინგის გაცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს გაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილით წარმოდგენილი 577 933 მ^2 ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 218 954 მ^2 წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. შპს „ნახიდური ჰესი“-ს მომართვის საფუძველზე სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე ფართობების ნაწილზე სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ხოლო სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე დანარჩენ ფართობზე შპს „ნახიდური ჰესი“-ს ამ ეტაპზე ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის არ მიუმართავს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

სკრინინგის გაცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს გაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, ბოლო წლებში გაზრდილი წყალმოთხოვნილებიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მდინარე ხრამის კალაპოტი განიხილება როგორც საირიგაციო დანიშნულების წყლის მარაგების შექმნის პოტენციალის მქონე არეალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით, კომპანიაში მიმდინარეობს ჰესის საპროექტო ბუფერის ზეგავლენის ხელახალი შესწავლა აღნიშნულ გეგმებთან მიმართებაში. შესაბამისად, „ნახიდური ჰესი“-ს პროექტი, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, შპს „საქართველოს მელიორაცია“-სთან შეთანხმებას საჭიროებს.

სკრინინგის გაცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გაზრდილი შესატბორი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს თავგურგლას გამოქვაბულები, რომლებსაც არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, თუმცა, საქართველოს ისტორიისა და კულტურის თვალსაზრისით ღირებულ გამოქვაბულ კომპლექსს წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს დაგეგმილი ცვლილების გამოქვაბულ კომპლექსზე ზემოქმედების რისკების შეფასება. გარდა ამისა, შესატბორი ტერიტორიის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების – ბალახაურის ეკლესიისა და ანდრიას ნასოფლარის ვიზუალური დაცვის არეალებში, რომლებიც ხრამის ხეობის ზედა ტერასებზე მდებარეობს. ამდენად, პროექტში დაგეგმილი ნებისმიერი ცვლილება ძეგლებთან მიმართების თვალსაზრით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ „ნახიდური ჰესი“-ს პროექტში მრავალჯერ განხორციელებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება შეფასდა ფრაგმენტულად, ინდივიდუალური სკრინინგის პროცედურების

ფარგლებში. ამასთან, ვინაიდან „ნახიდური ჰესი“-ს პროექტში კვლავ დაგეგმილია ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, საერთო ჯამში პროექტი პირვანდელ სახეს დაკარგავს და არსებითად განსხვავებული იქნება იმ საბაზისო პარამეტრებისაგან, რომლებიც გზშ-ის ანგარიშში იყო შეფასებული. განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების საერთო მასშტაბიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ნახიდური ჰესი“ ფაქტობრივად ახალ პროექტს წარმოადგენს. შესაბამისად, არსებული გზშ-ის ანგარიში და მის საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ვეღარ ასახავს ცვლილებების შედეგად საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ პროექტს და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ რეალურ ზემოქმედებებს. ამასთან, წინამდებარე სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კვლავინდებურად სკრინინგის პროცედურის ფარგლებში ფრაგმენტულად შეფასება ვერ უზრუნველყოფს საბოლოო პროექტით მოსალოდნელი ზემოქმედებების სათანადოდ შესწავლას, რაც თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის რისკების სრულად იდენტიფიცირებას და ეფექტიანი პრევენციული, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას. გარდა ამისა, ვინაიდან სკრინინგის პროცედურის ჩატარების კოდექსით დადგენილი წესი საექსპერტო კომისიის შექმნას და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადებას არ ითვალისწინებს, აღნიშნული პროცედურის ფარგლებში პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების კომპლექსური და სრულფასოვანი შესწავლა შეუძლებელია. მითითებული გარემოება განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ პირობებში, როდესაც პროექტი, მასში განხორციელებული მრავალჯერადი ცვლილების შედეგად, არსებითად შეიცვალა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში წარდგენის საჭიროება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე მშენებარე შპს „ნახიდური ჰესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას საჭიროებს**;
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, კოდექსის 7^1 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/139-21-4-202603051622